ახლოა ქაშიდან გულრიფშამდე?!

ვუძღვნი სეზერ დურუს

თბილისი
2008

ყდაზე
აფხაზეთის ომს გადარჩენილი ჩვენი სახლის ბუხარია აღ-ბეჭდილი. სურათი 2007 წელს ჩემი ბავშვობის მეგობარმა და მეზობელმა პავლიკა მერჟანოვმა გადაიღო, როცა იგი პირველად ჩავიდა გულრიფშში თავისი სახლის ნანგრევე-ბის სანახავად.

ავტორი: მანანა დუმბაძე
რედაქტორი: ქეთევან დუმბაძე
დიზაინი: სანდრო კაპანაძე

პატარა თიხის ფიალა პირამდე სავსეა ზღვის კენჭებით: უბრალო, პატარა ქვებია, ღია, გაცრეცილი რუხი ფერის. ასეთ კენჭებს, როგორც წესი, არ აგროვებენ. არც ლამაზია და არც ფერადი. ფიალა სასტუმრო ოთახის ფანჯრის რაფაზეა შემოდებული ისე, რომ სტუმარს შეუმჩნეველი ვერ დარჩება. რამდენჯერმე ჩავუარე გვერდი, ბოლოს ხელში ავიღე და ისე ჩავაშტერდი რუხ გაცრეცილ ქვებს, თითქოს ამის მსგავსი ცხოვრებაში არაფერი მენახა.

ფიალას ფსკერი თბილი აქვს. მუჭით ვიღებ ქვებს და ლოყაზე ვიდებ. აივნიდან ულურჯესი ხმელთაშუა ზღვის სარკესავით გლუვი ზედაპირი მითიური ლიკეის გორაკებს ირეკლავს. დღეს ეს თურქეთია, საკურორტო ქალაქი ქაში ხმელთაშუა ზღვის ერთი პატარა ყურე. ტურისტული სეზონი უკანასკნელ დღეებს ითვლის. ირგვლივ სამოთხისეული სიმშვიდეა. შიგადაშიგ, მეზობელი სასტუმროდან ისმის როგორ ავარჯიშებს მდიდარ ხანდაზმულ ევროპელ ქალბატონებს აქვა-აერობიკაში ახალგაზრდა, შოკოლადისფერი თურქი ინსტრუქტორი და დამტვრეული ინგლისურით, მაგრამ ურყევი შემართებით ცდილობს მათ ხავერდოვან, მონოტონურ ცხოვრების წესში ერთგვარი არითმიის შეპარებას.

მე იქვე აივანზე ვარ წამოგორებული შეზლონგში და თურქი ინსტრუქტორის საპირისპიროდ, ნირვანაში გადასახლებას ვცდილობ. გულზე ის კენჭებით სავსე თიხის ფიალა მადევს, თვალებზე კი ორი მოზრდილი ბრტყელი ქვა. რა თბილია! ღმერთო, რა თბილია! სად მოაგროვა

ნეტავ ეს ქვები ამ კლდოვან, სიპ ნაპირზე, წამლად ერთ კენჭსაც რომ ვერ წააწყდები?

ლიკეის მიწაზე ადამიანმა ფეხი ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში დადგა. ლიკეის მკვიდრთა ენა ინდოევროპული ენების ჯგუფის ანატოლიურ შტოს განეკუთვნებოდა. მისი მონათესავე ენა იყო ლუვიანური, რომელზეც ანატოლიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ და მეორე ათასწლეულში საუბრობდნენ. შესაძლოა, ლუვიანური ენა ლიკეურის პირდაპირი წინაპარი ყოფილიყო. ლიკეის რეგიონს, თურქთა შემოსევამდე ბერძენი კოლონიზატორები მართავდნენ. ბერძენთა უკანასკნელმა ტომებმა რეგიონი მე-20 საუკუნის დასაწყისში, საბერძნეთ-თურქეთის ომის შემდეგ დატოვეს.

ძველი ლიკეა სამხრეთ-დასავლეთი თურქეთის სანაპიროზე მდებარე მთიან და ტყის მასივებით მდიდარ თეკეს ნახევარკუნძულზეა განფენილი. მას დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით კარია ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით – პამფილია, ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთით – პისიდია. ანტიკური ლიკეის მთავარი ქალაქები ქსანქსოსი, პატარა, მირა, თლოსი და ოლიმპოსი გახლდათ.

ქაშიც ამ ისტორიის განუყოფელი ნაწილია, რამდენიმე წლის წინ მას თურქეთის რუკაზე ვერც კი იპოვნიდით, ახლა იგი ერთ-ერთი განვითარებული და პოპულარული საკურორტო ზონაა. ქაში ნახევარკუნძულზე მდებარეობს და რეგიონის მთვარი ტრასიდან საერთოდ არ მოჩანს. სწორედ ეს იზიდავს დღეს ყველაზე მეტად საზოგადო დაძაბულობითა და გლობალური ენერგეტიკით გადაქანცულ დასავლურ სამყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ ქაშში ახლა სამშენებლო ბუმია, იგი ჯერ კიდევ ინახავს თითო-ოროლა ხელთუქმნელ კუნძულს. იგი არსაიდან ჩანს, და რადგან ასეა მოფარებული თვალსაწიერს, სამოთხის ილუზიას ქმნის. და მე, ვითარცა ანტიკური ლიკეის სრულუფლებიანი მემკვიდრე, სრულიად ვერწყმი ამ საოცრებას, მზად ვარ ბოლომდე ჩავყვინთო მილიონი წლის ნისლით დაბურულ ოკეანეში.

სეზერ დურუ, ჩემი მასპინძელი და მთელი თურქეთის დიასახლისია. თურქეთის ჟურნალისტიკის განვითარებაში, ასევე, გერმანულ-თურქულ კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის არაერთი ჯილდო აქვს მინიჭებული. მისი აგარაკი, "საზაფხულო რეზიდენცია", როგორც თავად ეძახის, ქაშის ერთ-ერთ მწვანე გორაკზე, თურქეთის ჟურნალისტთა ასოციაციის დასახლებაში მდებარეობს.

– ოცდაათი წლის წინ მე და ორჰანი (სეზერის მეუღლე, გამოჩენილი თურქი მწერალი და ჟურნალისტი) ამ ადგილის პირველმოსახლეები ვიყავით, ჩემს რამდენიმე კოლეგასა და მეგობარს სულ ძალით ვაყიდინე ნაკვეთები, დღევანდელ ფასებთან შედარებით თითქმის უფასოდ. მაშინ ჩვენი სახლი ამ დასახლებაში ერთ-ერთი ყველაზე წარმოსადეგი იყო, ახლა ნახე, რა ქოხივით გამოიყურება ამ სასახლეების ფონზე. ძველი მოსახლეებიდან, სამწუხაროდ, თითო-ოროლა ოჯახიღა დარჩა. ისე გაძვირდა აქაურობა, ძველებმა სახლების გაყიდვა დაიწყეს – გულდაწყვეტით ამბობს სეზერი.

თერმომეტრი ორმოც გრადუსს ასცდა. მე ისევ აივანზე ვწევარ შეზლონგში, ცოტაც და ტვინი ამიდუღდება, მაგრამ სიცხისაგან განძრევაც მეზარება. ბოლოს მაინც ვდგები და ზანტად მივუყვები ნაპირამდე ქვის მაღალსაფეხურიან კიბეს, რომელსაც ორივე გვერდზე ველური და დეკორატიული ყვავილების ბაღი მოსდევს. მე კი ბზუილ-ბზუილით დამშეული ბზიკები, ფუტკრები და კოღოები მომდევენ. ხელის აქნევა მეზარება. პლატფორმიდან პირდაპირ თავით ვეშვები სარკესავით გადასწორებულ, გარინდულ ზღვაში. ესეც სამოთხის ნაწილია – მუქი ლურჯი, მსუბუქი, ბლანტი და რაღაც სულ სხვანაირი... ჰო, სხვანაირი, ვიდრე შავი ზღვა. არც კი ვიცი რა დრო გავიდა. წყლიდან ამოსვლა ძალიან არ მინდა, მაგრამ ვხედავ, სეზერი შემომდგარა აივანზე და ხელს მიქნევს, ამოდიო.

გამახსენდა, სადილად ჯანისტა გვეწვევა. დავპირდი, ქართულ ჩახოხბილს გაგასინჯებ მეთქი. ჯანისტა ველური მცენარეა, მაღალი, ბალახისებრი ფოთლებითა და წვრილი ცისფერი ყვავილით. სეზერის მეგობარ ქალს ეს სახელი სალვადორ დალიმ შეარქვა თურმე, მაგრამ როდის, რა ვითარებაში და რატომ ამაზე ჯანისტას ლაპარაკი არ უყვარს. მისი აგარაკი ქაშის ნავსადგურის მოპირდაპირე ნაპირზე მდებარეობს და სახლშიც და სტუმრადაც კატერით, იახტით ან გლისერით დადის, უფრო სწორედ, მის კაპიტანს დაჰყავს. ჯანისტას ბერძნულ-თურქული კოშკის გარე კედელზე ეს ველური მცენარე ხატია. ყვავილი ჯანისტა და ქალი ჯანისტა საოცრად გვანან ერთმანეთს: ორივე უზომოდ ნაზი, ჰაეროვანი და ფერადია. სეზერის თქმით, სტამბოლში ეგეთი გოგო არ დადიოდა.

წყლიდან ამოვედი, ნაცრისფერი კენჭებით სავსე ფიალას ხელი დავავლე და სახლში წამოვედი. სეზერი ტელევიზორს უყურებდა, ფიალით ხელში რომ დამინახა გაეცინა.

– რაო, მშობლიური მიწა გეძახის? ჯერ არ ჩამოსულხარ და უკვე სახლი გენატრება?

– რატომ? – მიკვირს მე.

– ეგ ქვები ამ ზაფხულს შავ ზღვაზე მოვაგროვე, მამაჩემის სოფელში.

– მართლა? მეც არ ვიფიქრე, სად მოაგროვა-მეთქი? აქ ასეთი კენჭები არაა. ეს თიხის ფიალაც იქაურია? ძალიან გავს ქართულ ღვინის თასს.

– ეგეც იქიდანაა.

– აგაშენა ღმერთმა! ერთი კეფაზე ხელი მოისვი, წითელი ხალი ხომ არა გაქვს?

– რა?

– არაფერი, ქართული გამოთქმაა, ნათესავები ხომ არა ვართ მეთქი? – სეზერს, რა თქმა უნდა, არ ესმის ეს ჩემი ქართული გამოთქმა და მეც აღარ ვუღრმავდები, მითუმეტეს რომ ამის დროც აღარ არის, მალე ჯანისტა მოვა და სადილი მაქვს მოსამზადებელი.

– მაინც რა გინდოდა რომ გეთქვა? – არ მეშვება სეზერი. რას დაათრევ ამ ფიალას წინ და უკან?
– თვითონ არ ვიცი, უფრო სწორედ ახლა ვხვდები რატომ. ამ ქვებს რომ ვეხები, აქაურობა ჩემი გულრიფში მგონია, ეს ზღვა ჩემი შავი ზღვა, ეს გორაკები გულრიფშის გორაკები, ეს აივანი – ჩემი სახლის აივანი, ეს მზე – ჩემი გულრიფშის მზე. 1992 წლიდან ფეხი აღარ დამიდგამს იმ ნაცრისფერკენჭებიან ნაპირზე, გული სულ იქით მიმიწევს, ახლა იგი თავად მოვიდა ჩემთან, აი ასე... – დივანზე წამოვწექი, თიხის ფიალა გულზე დავიდე, ხელი ქვებში ჩავყავი, თვალებზე ორი ბრტყელი ქვა დავიდე და წავედიიიიიიი....
– ხვდები? ასეთი რამ სხვაგან არსად დამმართნია, არსად, დედამიწის ზურგზე. აქ დამემართა ქაშში. ალბათ იმიტომ, რომ ქაში გულრიფშივით დამალული სამოთხეა. ტრასიდან იმასაც ვერ დაინახავდი.
– დაწერე!
– რა?
– რა და, დაწერე მეთქი.
– მერე?
– მერე არაფერი, სულ მემახსოვრება, რომ ჩემს ქაშში შენი დაკარგული სამოთხე იპოვნე ეცინება სეზერს.
– ქინძი თუ მომიტანე?
– მოგიტანე ხმელი კორიანდერი, ბაზილიკი ორივე – ხმელიც და ნედლიც, ოხრახუში, რეჰანი, ნედლი ქინძი ვერ ვიშოვნე.
– არა უშავს, ეგეც წავა, მწვანე სალათსაც დავამზადებ.
– რაც გინდა ის დაამზადე, ჯანისტას წუხანდელ იტალიურ სუფრას მაინც ვერ ვაჯობებთ.
– დამიჯერე, ჯანისტას მზარეულებს ჩემი ჩახოხბილით კუდით ქვას ვასროლინებ.
– მჯერა, შენი “ჩახომბილი” ისევე ადვილად თუ მზადდება, როგორც გამოითქმის, აუცილებლად ვასროლინებთ ... რას?

– რას და ქვას.
– კარგი, ჰა შენ, ბურთი და მოედანი, მე წავალ ცოტას გავცურავ, თორემ ავდუღდი.

1982 წლის სექტემბერია. ჩვენები გულრიფშში არიან, მე - ბათუმში. აქ მონანიებას იღებენ. თბილისიდან ორი ავტობუსი ხალხი წამოვედით „მასოვკაში“ სათამაშოდ. ფილმის სცენარის ავტორმა, ნანა ჯანელიძემ, ნაცნობთა წრე შეკრიბა და დღეში სამ მანეთად დაგვიქირავა.

მოკლედ, ბათუმში მაშინ მშვიდი და უზრუნველი დღეები იდგა. დრომ მხიარულად და საოცრად სწრაფად გაირბინა. ქართული კინემატოგრაფიის ისტორიას ასეთი დამჯერი, შემსრულებელი და ენთუზიაზმით აღსავსე „მასოვკა” არ ღირსებია. კუთვნილი სამ-სამი მანეთი ჰონორარი პირდაპირ „ინტურისტის” რესტორანს გამოეწერა, ხოლო კინოსტუდია „ქართული ფილმის” განვითარების ისტორიაში შეტანილი ჩვენი მოკრძალებული წვლილი გრანდიოზული ბანკეტით დაგვირგვინდა.

ღამე ნავსადგურში გავედი. ბებერი მეთევზეებისა და ყავის მსმელების გარდა იქ აღარავინ იყო. კედელზე, მექანიკურად, გემების განრიგის კითხვა დავიწყე. დილის 7 საათზე კომეტა სოხუმის მიმართულებით გადიოდა. ძალიან ადრეა მეთქი, რატომღაც გავიფიქრე. ჩვენი ავტობუსი თბილისში მხოლოდ შუადღისას გავიდოდა.

გამთენიისას ელდანაკრავივით გამეღვიძა. ნომერში ინგას და ირინას ეძინათ ტკბილი ძილით. ინგას ნაკლებად ვიცნობდი და მომერიდა მისი გაღვიძება. ირინასი - არა. წავედი მეთქი ვუთხარი. ირინა თვალების ფშვნეტით მეკითხებოდა სადო..
– გულრიფშში, - ვუთხარი მე - ძალიან მენატრება!
– ერთი კვირის წინ არ ჩამოხვედი იქიდან?
– მოკლედ, წავედი. პორტში მაგვიანდება – იმან ლასლასით მიმაცილა კარამდე და გიჟი ხარო მითხრა (ფსიქოთერაპევტია და ზუსტად იცის).

წავედი.

1996 წელია. კვლავ ბათუმი. მთელი ღამე არ მძინებია. გარიჟრაჟისას ნავსადგურს მივაშურე. ასე მეგონა, ნაპირს ძველებურად კომეტა მოადგებოდა და შენსკენ გამოვცურავდი. ვერა და ვერ გიგონებ წართმეულს, დაკარგულს. ვიდექი და შენსკენ მომავალ კომეტას ველოდი. ეს ყველა მოლოდინზე მეტია. ამას ჩემი გულრიფშის მოლოდინი ჰქვია. იქ ჩემი სახლია. ჩემი სისხლი და ხორცი. ჭიშკარი ღია დამრჩენია. რა ხანია მელის, ეგებ ვინებო ჩასვლა და მივხურო, თორემ ეზო საქონელმა გადაჯეგა, სახლი გადამთიელმა გააპარტახა, მტრობამ მზე ჩააქრო.

ბათუმის ნავსადგურში ვიდექი. იქ ბებერი მეთევზეების გარდა აღარავინ იყო, ყავას სვამდნენ და ცივ წყალს აყოლებდნენ. ძველი, შემორჩენილი ჩვეულებაა, თურმე სისხლ-ძარღვებს უხდება?!

ჰორიზონტს იქით თურქეთია. იქ ყველაფერი მიდის: გემი, მანქანა, თვითმფრინავი, ვირიც და კომეტაც. აქედან ყველა მიმართულებით მიდიან, ერთი მიმართულების გარდა – იქ, სადაც ღიაა ჭიშკარი, ეზო გადაჯეგილი, სახლი გაპარტახებული და მზე ჩამქვრალი. პორტის კუთხეში ვიღაც მოხუცი კაცი სევდიანი თვალებით გაჰყურებდა ჰორიზონტს და ღრმა ნაფაზებით ეწეოდა თუთუნს.

სეზერის ბაღი ჯუნგლივით აბურდულ-დაბურდული და ათასი ჯიშის მცენარეებითაა აჭრელებული. მოსავლელად ვერ იცლის და ამიტომ ეზოს სიველურე შეჰპარვია. მე თუ მკითხავთ, სწორედ ამით განსხვავდება სეზერის ეზო მისი მეზობლების დავარცხნილი და მკაცრად დაგეგმარებული ეზოებისგან.

სადილი ტერასაზე გავშალეთ. სუფრა და ჭურჭელი ლურჯ-თეთრ ფერებში იყო გადაწყვეტილი და ცოცხალი ყვავილებით შემკული.

ჯანისტა თავისი ნახევარკუნძულიდან გლისერით მობრძანდა. კაპიტანმა მისი ნივთები სახლში შემოიტანა. თვითონ ჯანისტა მოგვიანებით შემოგვიერთდა. ტანთ ღია იასამნისფერი ყვავილებით მოხატული ბატისტის „ბალახონი“ ეცვა და საოცრად ჰგავდა თავის მოსახელე მცენარეს.

სადილის თემამ მოიცვა გლობალიზაციის, მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკის, ლიტერატურის, კულტუროლოგიის და, რა თქმა უნდა, გენდერული პრობლემატიკის უმწვავესი საკითხები, კოსმეტოლოგიის, კულინარიის, ინფლაციისა და სხვა არანაკლებ პრობლემური საკითხების ჩათვლით. ჩემსა და სეზერის სიამაყის ზეობა კი მაშინ შედგა, როცა ჯანისტამ თავისი პროფესიონალი იტალიელი მზარეულებისათვის ჩემი ქართული ჩახოხბილის რეცეპტი მოითხოვა.

სეზერი და ჯანისტა ლამის ბავშვობის დაქალები არიან – ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულები გარეგნობითაც, ხასიათითაც და ტემპერამენტითაც. ორივე თავის საქმეში წარმატებული, თავისუფლად მოაზროვნე, თანამედროვე და საოცრად თვითდაჯერებულია. სტამბოლის ბომონდის ცხელ-ცხელ ამბებს, პირადი ისტორიების ჩათვლით, ისეთი გადამდები სიხალისითა და იუმორით ყვებიან, რომ უნებურად თავად გინდება საკუთარი, ყველაზე პიკანტური და კურიოზული ამბის მოყოლა.

თავისი ახლადგამოცემული სამოგზაურო-წიგნის ეგრეთ წოდებული მცირე პრეზენტაცია სეზერმა დესერტის დროს ბოლო აკორდად შემოინახა. წიგნი ორივეს გულისამაჩუყებელი წარწერით გადმოგვცა, თავად კი ჩვენგან მხურვალე ბრავო და აპლოდისმენტები დაიმსახურა.

კულინარიული ნაწილის დასრულების შემდეგ, ტერასიდან სასტუმრო ოთახში გადავინაცვლეთ და ტელევიზორის წინ ბალიშებიან დივანსა და სავარძლებში მოვკალათდით. CNN-ის ახალი ამბების შუადღის გამოშვება რომ დამთავრდა, სეზერმა სიესტა გამოაცხადა. გაოცებული ვუყურებდი, რა საქმიანად მიუდგა ეს ორი ზრდასრული ქალი შუადღის ძილის რიტუალს, და მეც, რომელსაც ბავშვობიდან მძულდა „მკვდარი საათი“, იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი საერთო წესს და ჩემს ოთახში განვმარტოვებულიყავი. თან შავი ზღვის ქვებით სავსე თიხის ფიალა გავიყოლიე.

თიხის ფიალა ლოგინზე დავდე, ჭერიდან კოღოებისგან დამცავი ბადე ჩამოვშალე, შიგ შევძვერი და ფიალას გვერდით მივუწექი. ხელი ქვებში ჩავყავი, კენჭებს დავუწყე თამაში და ასე თამაშ-თამაშში პირველად ცხოვრებაში დამეძინა შუადღეს, ჩვილის უდარდელი, მშვიდი ძილით.

ჩემი სახლის ლურჯი ჭიშკარი დამესიზმრა, მერე ნაცნობი ხმებიც ჩამესმა...

გულრიფშში გრილი საღამოები იცის. თუ გაწვიმდა, სიცივე და ნესტი ძვალში ატანს. თანაც ერთი და ორი დღე კი არ წვიმს, კვირაობით. ამ დროს ბუხარს ვუსხდებოდით მთელი ოჯახი და თბილისიდან ზღვაზე "დასასვენებლად" ჩამოსული მთელი იქაური საზოგადოება. იმ დილას მამიდაჩემი გვეწვია ქმარ-შვილით. ვახშმობის დრო იყო. ბუხრის წინ ტაბლას გარშემო ვისხედით. ჩემი მამიდა მსუქანი ქალია. როცა იცინის, თვალებიდან სულ კურცხალ-კურცხალ სდის ცრემლები, მთელი ტანი უთახთახებს და ისეთი საყვარელია, ერთი სული მაქვს, მაგრა დავჩქმიტო. დედაჩემი მეუბნება, ჭამას თუ არ მოუკელი, მალე ზუსტად ეგეთი გახდებიო. მამიდაჩემი მამშვიდებს, ნუ გეშინია, შენს ასაკში უკვე კარგა ფუშფუშა ვიყავი, თანაც სიყმაწვილეში იმდენი ვიშიმშილე, ორი გრამით თუ დავმძიმდი, არაფერი უჭირს რა, გამასვენებს როგორმე ჩემი სამი შვილი და მორჩება ამით ჩემს წონაზე ლაპარაკიო.

— შიმშილზე გამახსენდა - მოგონებებს მიეცა უცბად გიგლა ფირცხალავა - ოცდაჩვიდმეტი წელია, ვიქნები ასე, რვა - ცხრა წლის, მამაჩემმა სამი მანეთი მომცა და ნავთზე გამაგზავნა. ბელინსკის ქუჩას დავუყევი, ათ ნომერთან ნიაზა შემხვდა, დიასამიძე. ბიდონით რომ დამინახა, უკან გამომყვა. ნავთი იქვე, ქუჩის დასაწყისში იყიდებოდა. ჯერ საკონდიტრო უნდა გაგვევლო. ჰოდა, საკონდიტროდან იმისთანა სუნი გამოვარდა, ადგილიდან ფეხი ველარ მოვ-იცვალეთ. ცხრაჯერ გადავთვალ-გადმოვთვალე ნავთის ფული, არაფერი გამოდიოდა, ან ნავთი უნდა გვეყიდა

ან ...ჰოდა, ჩვენც "პონჩიკები" ვარჩიეთ. გვიანღა გამახსენდა, სახლში დასაბრუნებელი რომ ვიყავი და მამაჩემი ტყავს გამაძრობდა. ბევრი ვიბოდიალე, მაგრამ რას ვიზამდი, მაინც სახლისაკენ გავუყევი გზას, ფეხები უკან მრჩებოდა. ეზოში შეუმჩნევლად შევიპარე, ჩვენი ბინის კიბესთან მეზობლებს მოეყარათ თავი, შემოსასვლელში სინათლე ენთო, იქაც მეზობლები მოქუჩებულიყვნენ და ჩუმად, ფრთხილად საუბრობდნენ. მე ვერავინ შემამჩნია. თვითონ გამოველაპარაკე ერთ-ერთს, რა მოხდა მეთქი. იმან თავზე ხელი გადამისვა და მამაშენი წაიყვანესო, მითხრა. არაფერი ვუპასუხე, კიბე ავირბინე და ოთახში შევვარდი. დედა ტიროდა, მეზობელი ქალებიც ტიროდნენ, მეც მომინდა ტირილი, მაგრამ შემრცხვა და თავი შევიკავე...

– რისი შეგრცხვა? – არ აცალა დედაჩემმა.

– რისი და თავდაპირველად, ვიდრე გავიაზრებდი, რა მოხდა, საშინლად გამიხარდა, მამა რომ წაიყვანეს და დასჯას გადავურჩი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მამაჩემს გაეცინა.

– რა გაცინებს! – გაუბრაზდა გიგლა და უნებლიედ თვითონაც ახითხითდა.

– არაფერი, არაფერი – თქვა მამაჩემმა და მამიდაჩემს გახედა რაღაც ეშმაკურად. მამიდა ნამცხვარს გეახლებოდათ და ძმისთვის სულ არ ეცალა, მამაჩემი სიცილს ვერ იკავებდა.

– რა გაცინებს, ნოდარ? – იეჭვიანა მამიდაჩემმა და თვალები დააბრიალა.

– არაფერი. ჩემთვის რაღაც გამახსენდა, ყურადღებას ნუ მომაქცევთ – თქვა მამაჩემმა და სიცილი რომ შეეკავებინა, ხველება დაიწყო. ვეღარ გაჩერდა. გულიანად იცინოდა, მაგრამ უფრო იმაზე კი არა, რაზეც სხვები, რაღაც სულ სხვაზე. თითქოს თავისთვის განმარტოვდა, თანაც მამიდაჩემს არ აცილებდა თვალს.

– რა მოხდა, ნოდარ, აღარ იტყვი? – ვეღარ მოითმინა მამიდამ – რას მომჩერებიხარ, პირველად მხედავ?.. მითხარი

ერთი, რა გაცინებს, რა გაგახსენდა ასეთი. მითხარი, გეხ-ვეწები, გაფიცებ ყველაფერს, არ დამიმალო.
– მოვყვე?.. კარგი, მოვყვები... ომის შემდეგ ლეილამ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, ფრიადოსანი სტუ-დენტი იყო და კარგი სპეციალური ლიტერატურაც ჰქონ-და შეგროვებული. ერთხელ მე და ოთარ სადრაძე სახლში მარტო დავრჩით. საშინლად გვშიოდა, დედა ჯერ კიდევ გადასახლებაში იყო. არც საჭმელი გვქონდა და არც ფული. ვიწრიალეთ, ვიწრიალეთ, შემდეგ ლეილას ერთ სქელტანიან წიგნს დავადგით თვალი. ერთი კი გამაჟრი-ალა ტანში, მაგრამ შიმშილმა სძლია სინდისს, დავავლეთ ხელი იმ წიგნს და მივაყიდეთ. ბუკინისტმა რა კაპიკებიც მოგვცა, იმით ბაზარში ვიყიდეთ ყველი, ნივრის წნილი, კიტრი, პომიდორი, მწვანილი, ღვინო ხუთი ნომერი და გემრიელად ვიქეიფეთ. ხუთი წელი ეძებდა მერე ლეილა დუმბაძე იმ წიგნს, თუ არ ვცდები, ხანდახან ახლაც ეძებს ხოლმე.
ყველამ მამიდას გავხედეთ. იმას აღარ ეღიმებოდა, გამომე-ტყველება შეეცვალა, თვალი გაუშტერდა, ერთი შესძახა, უსინდისოებოო, და ღაპა-ღუპით წასკდა ცრემლები. მამა-ჩემი მოეხვია და ცრემლიან ლოყაზე აკოცა.
– არ გრცხვენია, გოგო, ასი წლის ამბავს ტირი? რა გლო-ცეთ, რომ იცოდე, მე და ოთარამ, სულ შენი სადღეგრ-ძელოები ვსვით.
– ამაზე მამიდას კიდევ უფრო აუჩუყდა გული და ხმით მოუთქვა, ოღონდ რას ლუღლუღებდა, არავის ესმოდა.
– ჩუ, გაჩერდი, გოგო, არა გრცხვენია, სუ მეთქი... ამშ-ვიდებდა მამა.
– მერე, მე არ მშიოდა, მე რატომ არ მაჭამეთ, მე ცოდო არ ვიყავი? - ზლუქუნებდა მამიდა.
ასეთ რეაქციას მამაჩემი ნამდვილად არ ელოდა. მამიდა პატარა, მსუქან, გულმოკლულ ბავშვს გავდა. მის დაწყნარებას აზრი არ ჰქონდა. მამიდა თავის უბედურ ბავშვობას ტიროდა. მამაჩემმა მკერდზე მიიკრა მისი

ფუმფულა ხუჭუჭა თავი და დიდხანს, ძალიან დიდხანს უალერსა. თვალის უპეებთან მასაც ორი პატარა კურცხალი უბრწყინავდა.

– გღვიძავს? ქაშში მივდივართ ყავის დასალევად. ჯანისტა უკვე მანქანაში ზის. დროზე ადექი და წავედით – მეძახის სეზერი.

ზოზინ-ზოზინით გამოვძვერი ბადიდან. საწოლის შუაგულში, ბალდახინის ქვეშ მოკალათებული ტერაკოტისფერ, შავი ზღვის ნაცრისფერი კენჭებით სავსე თიხის ფიალას კოცნა გავუგზავნე და კარი მოვიხურე.

სეზერი და ჯანისტა მანქანაში ისხდნენ და სამოციანი წლების ამერიკულ როკს უსმენდნენ. სიმღერ-სიმღერით ჩავსრიალდით გაბრდღვიალებულ და აქოთქოთებულ საღამოს ქაშში. სეზერის ყავახანა ანტიკვარიატის მაღაზიაშია, პორტთან ახლოს. მაღაზია სავსეა აზიური და ევროპული ანტიკვარული ავეჯით, ქანდაკებებით, ეზოს აქსესუარებით, ხის ნაკეთობებით, ფაიფურის, თიხისა და თუნუქის ჭურჭლით, ვერცხლეულით, ოქროულობით, ძველი თოჯინებით, ათასგვარი ჯინჯილებითა და სხვა წვრილმანით. სეზერი და ჯანისტა ამ მაღაზიის მუდმივი კლიენტები არიან, მაგრამ იმ დღეს არაფრის ყიდვას აპირებდნენ, უბრალოდ, ყავის დასალევად და მაღაზიის მეპატრონესთან სამუსაიფოდ შეიარეს. მეპატრონე ხანშესული, ტიპური აზიელი ანტიკვარი იყო, დახვეწილი მანერებითა და ძალიან დაბალი, ჩურჩულა ხმით. მისი ვაჟი, ახალგაზრდა, ახოვანი, ბრგე ვაჟკაცი, უდავოდ მამის კვალს ადგა, თუმცა მამისგან სრულიად განსხვავებული – ანტიკვართა ახალი თაობის ტიპური წარმომადგენელი: ზედმეტად უშუალო, აქტიური და თავისუფალი, აშკარად ეარშიყებოდა ჯანისტას – არც გამკვირვებია.

ვიდრე ჯანისტას საკუთარი კატერი მოაკითხავდა (არ აგერიოთ, მოვიდა გლისერით, წავიდა – კატერით), ქაშის ბულვარში ჩამოვსხედით. ჯანისტამ შემწვარი სიმინდი გვიყიდა. ჭამის დროს რამდენჯერმე გადავთვალ-

გადმოვთვალე პორტში ჩამომდგარი იახტები. ყოველ დათვლაზე სხვა ციფრს ვიღებდი, იქნებოდა ასე, 18-20.

ჯანისტა გავამგზავრეთ და მე და სეზერი ღამის ქალაქში სასეირნოდ გავეშურეთ, ადგილობრივი მოსახლეობის უსაყვარლეს და ტურისტებისთვის უმნიშვნელოვანეს უბანში სახელად „უზუნჩარში“, ქუჩის თავში ჩვენს წელთაღრიცხამდე მეოთხე საუკუნის ლიკეის გამაოგნებელი აკლდამა „კრალ მეზანი” (სამეფო აკლდამა) დგას – ერთ მონოლითში ამოკვეთილი, ლიკეური წარწერის 6 რიგით და ორივე მხრიდან ლომის ორი თავით. თვითონ ქუჩა ძალიან ვიწროა, პატარა ტროტუარებით და ორივე მხრიდან ძვირფასი საფირმო და სუვენირების მაღაზიებით, სამხატვრო გალერეებით, სალონებით, რესტორნებით და ხელნაკეთობათა დახლებით. აქ ორსართულიანი სახლის სარდაფსა და პირველ სართულზე ერთი ძველი წიგნის მაღაზიაა განთავსებული. ხის რიკულებიანი აივანი პირდაპირ ქუჩაზე გადმოდის. ძველ სოლოლაკს ჰგავს. წიგნის მაღაზიის მეპატრონე სეზერის ნაცნობია. სეზერი მასთან დარჩა ყავის დასალევად. მე უბანში ხეტიალი ვამჯობინე და მალე ბოდიალ-ბოდიალით იმ სასწაულ სამეფო აკლდამას მივადექი.

აკლდამას ფოტოაპარატმომარჯვებული ტურისტები ეხვია. იქვე ზეთისხილის ხის ქვეშ თურქი ქალი მზესუმზირითა და თხილეულით ვაჭრობდა. იმ უბნელი ბავშვები ტურისტებს დასდევდნენ. ღია კაფეებიდან სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეთა ხმა და თურქული ყავის სურნელი მოდიოდა. აკლდამას რამდენიმე ფოტო გადავუღე და უკან დავუყევი დაღმართს. სეზერი წიგნის მაღაზიის პირველ სართულზე, აივანზე გადმომდგარიყო და ხელს მიქნევდა.

შაბათი დღე იყო და მთელი ქაში, თავისი ტურისტებიანად ქუჩას იყო შესეული. ვინც ქუჩაში არ დადიოდა, რესტორანში ან ბარში იჯდა. მარტო ერთი ძველმანებში გახვეული მოხუცი ჭაღარა ქალი დადიოდა მაგიდებს შორის ულამაზესი დაწნული კალათით, რომელშიც ეკიბანა-

სავით ჰქონდა ჩაწყობილი გამხმარი მინდვრის ყვავილები, სამკურნალო მცენარეები და ნაჭრის ტომსიკებში გამოხვეული თურქული სუნელები. რომანტიზმის ხანის პერსონაჟს ჰგავდა, კიდევ, თავისი ეკიბანას რომელიღაცა გამხმარ ყვავილსაც წააგავდა და იმთავითვე ტურისტების ყურადღებას იპყრობდა.

– ეს რა კოლორიტული სანახაობაა! – ვთქვი მე.

– ჰო, ამას უკვე მთელი მსოფლიო იცნობს. რაც თავი მახსოვს, ასე დაატარებს თავის კალათას და მყიდველებს საკუთარი ოჯახის ჭირვარამს უყვება. ზეპირად ვისწავლე მაგისი შვილების, შვილიშვილების, რძლების და სიძეების ამბები, არაჩვეულებრივი სუნელები აქვს. გემრიელი საჭმელი თუ გინდა, ამის ამბებიც ბოლომდე უნდა მოისმინო – ამიხსნა სეზერმა და სანელებლების გამყიდველს ხელი დაუქნია.

ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ახდა: ვიდრე კალათიდან სუნელებს ამოვარჩევდით, დედაბერმა სეზერს ისეთი შემზარავი ამბავი მოუყვა, ამ უკანასკნელმა ენა გადაყლაპა. ნაამბობის სიმძაფრე ნავაჭრის რაოდენობაზეც აისახა. მანქანიდან თვალი მოვკარი, რომ გადაღმა, ტრიალ მინდორზე ხალხი კარვებს შლიდა. სეზერმა სიჩქარეს მოუკლო, თვალი მოავლო იქაურობას და თქვა ხვალ აქ მოვდივართ, ქაშის საკვირაო ბაზრობაზეო.

მახსოვს, ბავშვობაში, ბაბუაჩემის ძმა, ყოფილი მენშევიკი და თავადი ალექსანდრე გუგუნავა კვირა დილით, თეთრ კიტელში გამოწყობილი დაივლიდა ხოლმე თბილისის ბაზრებს, ბოლოს საბურთალოს ბაზარზეც შემოივლიდა და რადგან იქვე ვცხოვრობდით, ჩვენც მოგვინახულებდა ხოლმე: გვიყვებოდა რა ხდებოდა ბაზარში – რა გაიაფდა, რა გაძვირდა, როგორ აისახა ბაზრის ცვლილებები ქვეყნის ცხოვრებაზე და იქვე, მისეულ ეკონომიკურ პროგნოზსაც გვაწვდიდა. ნეტავ, ვინმე თუ აკეთებს ამას დღეს? არა მგონია! ყოველ შემთხვევაში, მის შთამომავალთაგან – არავინ. ბაზრის დამფასებელ-შემფასებელი

კი არა დღეს თავად ის სისხლჭარბი, ფერხორციანი და მრავალხმიანი ბაზარიც აღარ არსებობს თავისი ინდივიდუალობითა და ღირსებით ასე რომ მოჰქონდა თავი. ჩვენ იგი წარსულის გადმონაშთად მივიჩნიეთ და ბრმანაწლავივით ამოვიჭერით.

ქაშის ბაზარზე სასოფლო სამეურნეო პროდუქტი მეზობელი ბერძნული კუნძულ კასტალორიზოდანაც ჩამოაქვთ. ბაზარი კვირას ბერძნებითაა სავსე და ადგილობრივი მოსახლეობა მათ სახელებით იცნობს. სოფლის ნობათის სიუხვე თვალისმომჭრელია, ამასთან ერთად ფარჩა, მიტკალი... რაც გინდა მითხარი! ოღონდ ივაჭრე... ფინჯან ჩაის და ნამდვილ, თურქულ ყავას არავინ დაგამადლის. სადაც გინდა შედი, ოღონდ ფეხი შედგი და რაც გინდა ინატრე, რომც არ ჰქონდეს, ისე შემოგაპარებს იმას რაც თვითონ უნდა, გეგონება მთელი ცხოცრება მხოლოდ ამას ეძებდი.

ტყავის ქურთუკის გამყიდველ ბიჭს ვევაჭრები და ორმოცდაათი დოლარი დამიკელი მეთქი ვეუბნები. იმას გული უსკდება. მადამ, ამას რას ამბობ, ვის გაუგია ამხელა ფასდაკლებაო. მერე მარცხვენს, ობოლი ვარ, სწავლის ფული გადასახდელი მაქვს, ავადმყოფ ბებიასთან წამალი მისატანი, ექვსი მცირეწლოვანი და-ძმისთვის საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელი საყიდელი, რა სინდისით მთხოვ ასეთ შეღავათსო – მეუბნება გულდათუთქული და თან ვაშლის ჩაის მთავაზობს. ვიცოდი, რომ ეს ჩვეულებრივი მოთელვა იყო, აზარტის გაღვივების მცდელობა. მაშინათვე რომ დავნებებულიყავი მეტოქეს, ბაზარში შესაშვები არ ვიქნებოდი. მაგრად დავუდექი და თავბრუდამხვევ დარტყმებს იმდენხანს გავუძელი, ბოლოს თავად დამნებდა და მითხრა: არც შენი – არც ჩემი, 25 დოლარს დაგიკლებო. თუმცა, დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ შემახსენა ავადმყოფი ბებია, კისერზე ჩამოკიდებული და - ძმა და 25 დოლარით სეკვესტრირებული თავისი კეთილდღეობა ჩემს სინდისზე დატოვა.

გამაბრუებელი აზიური სურნელი ხილბოსტნის სექციებისკენ გიზიდავს: ხასხასა მწვანე, ბრდღვიალა ყვითელი, წითელი და ლურჯი აცმები კისერზე გინდა ჩამოიკიდო და იცეკვო ისეთი ჟინითა და გატაცებით, როგორც მხოლოდ თურქი ქალები და კაცები ცეკვავენ. ბაზარი მკაცრი რეალობაა, თვალსაჩინო და უტყუარი. აქ ყველაფერს ფასი ადევს და გისაზღვრავს ვინ ხარ, რას გასწვდები და რას ვერა, ვისთან გაქვს საქმე. ხოლო, ბაზრობა, კიდევ უფრო რთული რამ არის: ამ რეალობის მეორე განზომილება, რომელშიც მწარესთან ერთად დღესასწაულის მარცვალიც ძევს, შეგიძლია ხელი გაშალო და თავდავიწყებას მიეცე. ერთი დღით დაივიწყო, რა არ შეგიძლია, მიუწვდომელს შესწვდე. ამიტომ არის, ალბათ, ბაზარი ყოველდღე, ბაზრობა კი – კვირაში ერთხელ. ასეა ყველგან: აზიაშიც და ევროპაშიც. ჩვენსა და სხვა სამყაროს შორის განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია, ისე, ყველაფერი იგივეა: მცნებები, ადამიანები, მისწრაფებები, ვნებები... რეალობა და ბაზრობაც კი.

დილას სეზერმა გამომიცხადა ქაშიდან თხუთმეტ კილომეტრში ქვიშიანი სანაპიროა და დღეს იქ წავიდეთ საბანაოდო. მანქანა პირველივე სანაპიროზე, გზისპირას გავაჩერეთ. აქაურობამ ცოტა გონიო და კვარიათი მომაგონა: გზის გაღმა – ტყიანი გორაკები, გამოღმა – ზღვა. გორაკებში სოკოებივით გაბნეულან თეთრი და წითელქუდა პატარა სახლები, რესტორნები, კაფეები. ჩვენი პლაჟის წინ, გზის გადაღმა, კლდეში, პატარა ხის აივნებიანი რესტორანი იყო ტერასულად ჩაშენებული. თვითონ პლაჟზე, მუხის ქვეშ – ღია ბარი. ვიდრე ნაპირზე ჩავიდოდით მე და სეზერმა მუხის ქვეშ მაგიდა დავიკავეთ და ყავა შევუკვეთეთ. მზე ზენიტში იყო, ქვიშაზე შიშველ ფეხს ვერ დაადგამდი, ზღვა ლაპლაპებდა. ყავა ახალგაზრდა ქალმა მოგვიტანა. სეზერმა მასთან მუსაიფი გააბა. უცებ მივხვდი, რომ ჩემზე საუბრობდნენ და მიმტან გოგონას უხერხულად გავუღიმე.

– ეს გოგო გურჯია, ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ შენც გურჯი ხარ, – მითხრა სეზერმა – გოგონას ხორბლის თავთავისფერი თმა და დიდი, ნუშის ფორმის, ლურჯი თვალები ჰქონდა. ძალიან გამხდარი და კოხტა იყო. ტანთ მოტკეცილი, მოკლე სარაფანი ეცვა. კისერზე, ცალ კოჭზე და მაჯებზე წვრილი ჯინჯილები ეკიდა. თვალს არ მაშორებდა.

– ჩვენებური ხარ? – ვკითხე ინგლისურად.

– მამა გურჯია, დედა – რუსი, – დამტვრეული ინგლისურით მიპასუხა მან.

– ძალიან ლამაზი ხარ, იმიტომ რომ გურჯი ხარ.

– გმადლობ, მამაც ამას მეუბნება, დედა კი ამბობს, ნახევრად რუსი რომ ხარ იმიტომო, – მეცინება, თავი ბათუმში მგონია.

–თქვენები აქ ცხოვრობენ?

– არა, რიზეში, აქ სეზონზე სამუშაოდ ვარ ჩამოსული. მალე წავალ.

– ქართული ვერ ისწავლე?

– მამამაც არ იცის, ამბობს ნენე ადრე მომიკვდა და იმიტომო. ბავშვობაში ცოდნია და დაავიწყდა.

– მართლა ძალიან ლამაზი ხარ ჩემო ქართველო ქალბატონო.

– თქვენც ძალიან ლამაზები ხართ, ორივე – თქვა და წყლის მოსატანად წავიდა.

წყალი, რატომღაც, ახალგაზრდა ბიჭმა მოიტანა. გოგონა სად არის მეთქი ვკითხე.

– ის გოგო გზის გაღმა რომ რესტორანია, იქ მუშაობს სამზარეულოში, ვთხოვე, ცოტა ხნით შევეცვალე, მაგისი ნახვა თუ გინდათ, საღამოს რესტორანში უნდა მიაკითხოთ, – მითხრა იმ ყმაწვილმა.

ნაშუადღევს ნაპირზე სეზერის არქიტექტორი მეგობრები შემოგვიერთდნენ. ერთად ვუყურეთ მზის ჩასვლას, მერე მანტე მივირთვით, ზედ ფინჯანი ყავა დავაყოლეთ და უკან, ქაშისკენ გამოვეშურეთ. შუა გზაში

გამახსენდა, რომ იმ ქართველი გოგონას სახელის გაგება დამვიწყებია. ვერც სურათის გადაღება მოვასწარი და ვერც მისი ასავალ-დასავალი გავიგე ნორმალურად. ასე, პეპელასავით შემოფარფატდა იგი ჩემს ცხოვრებაში წამით, გაიფრთხიალა და გაუჩინარდა, როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე. ვინ იცის რამდენი ასეთი ქართველი პეპელა დაფარფატებს თურქეთის მინდვრებში სხვა ჯურის ათას მწერთან და ფრინველთან ერთად. დღეს მეც აქა ვარ, ამ უკიდეგანო თვალისმომჭრელ ძველ ხალიჩაზე, ხან სად წავაწყდები ბედის მაძიებელ ჩემს სისხლსა და ხორცს და ხან სად. ისინი ფერადი ძაფებივით არიან ჩახლართულ-ჩაქსოვილი ამ სიმშვენიერეში და თავის წილ სიმტკიცესა და გამძლეობას მმატებენ.

ალბათ ამიტომ მეჩვენება აქედან ასე ახლო ჩემი ნავთსაყუდელი. აქ განსაკუთრებით სუფთა ჰორიზონტია და ხელის გაწვდენაზეა ჩემი ლაჟვარდოვანი ნაპირი. და მიუხედავად ამისა, მე იქ არა ვარ. მთელი ჩემი ზმანება ახლა შავი ზღვის რუხი კენჭებით სავსე ერთ თიხის ფიალაშია გამომწყვდეული. ფიალა კვლავ სეზერ დურუს აგარაკის ფანჯრის რაფაზეა შემომდგარი და უკიდეგანო ოცნებების სამყაროში მითრევს.

ბედის ხაზებით დაღარულ ჩემს ხელისგულს დავყურებ. უსასრულო გზებს ვხედავ. კოსმოსიდან დანახულ დედამიწას გავს. გზები და გზაჯვარედინები ერთმანეთში იხლართებიან, სცილდებიან და კვლავ კვეთენ ერთმანეთს. გზები კრეფენ ჩვენს იმედებს, ოცნებებს, იმედგაცრუებებს და ჩემს პატარა ხელისგულში უყრიან თავს. მიჭირს ამდენის მარტო ზიდვა. ჰორიზონტს მიღმა კი, ჩემი დებისა და ძმების გამოწვდილ ხელებს ვხედავ. მეძახიან, მე ისინი სახლში წამიყვანენ. ვხედავ, როგორ მოდიან გზაჯვარედინთან და ჩემი სანუკვარი მიწიდან პეშვით იმედი და ოცნება მოაქვთ. მე მათ ჩემს გულრიფშში მივყვები.